ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა N 71/8

მცხეთა 19 მაისი 2022 წელი

ერთის მხრივ, მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია (ს/კ 236099789), შემდგომში "შემსყიდველი", წარმოდგენილი მცხეთის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი გივი გიუტაშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს „გორგია" შემდგომში „მიმწოდებელი", წარმოდგენილი ხელმძღვანელის ხ. პაპუნიძის მინდობილი პირის ქეთევან ლომაძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ძეგვისთვის, 10 ცალი საკანალიზაციო ჭის ხუფების შესყიდვა თანმდები მომსახურებით(ტრანსპორტირება). CPV 44423750 - საკანალიზაციო ჭების ხუფები. ინვოისი თან ერთვის.

2. საქონლის მიწოდების ვადა და ღირებულება

1 საქონლის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმების დღიდან 2022 წლის 24 მაისის ჩათვლით.
2. საქონლის ჯამური ღირებულებაა 1029.00 (ერთი ათას ოცდაცხრა) ლარი.

3. ანგარიშსწორება

3.1 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით, გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

4. მხარეთა უფლება – მოვალეობები

4.1 "მიმწოდებელი" კისრულობს ვალდებულებას;
4.1.1 განახორციელოს საქონლის მიწოდება ნაკისრ ვადებში, შესაბამისი ხარისხით;
4.2 „შემსყიდველი" კისრულობს ვალდებულებას:
4.2.1 უზრუნველყოს თანხის ჩარიცხვა ხელშეკრულებით ნაკისრ ვადებში, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 სამუშაო დღეში.

5. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისას

5.1 მხარეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებებიუნდა შეასრულონ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, ხელშეკრულებით დათქმულ დროსა და ადგილას. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობის ან არსებითად დარღვევისათვის ხელშეკრულებით და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით;
5.2. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება სანქციები, რომელთა ფორმა, ოდენობა, ამოქმედების პირობები განსაზღვრულია წინამდებარე ხელშეკრულებით.
5.3. მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან/და არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია დააკისროს მიმწოდებელს პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე მიუწოდებელი საქონლის ღირებულების 0,1 %-ის ოდენობით.
5.4 იმ შემთხვევაში, თუ ხელშკრულების 5.3 პუნქტით გათვალისწინებული პირგასამტეხლოს ოდენობა მიაღწევს მთლიანი სახელშეკრულებლო ღირებულების 5%-ს, შემსყიდველს უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.

6. ხელშეკრულების პირობების კონტროლი

6.1 ხელშეკრულების პირობების კონტროლს და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერას განახორციელებს მერის წარმომადგენელი ძეგვის ადმინისტრაციულ ერთეულში კობა რთველიაშვილი.

7. ხელშეკრულების ძალაში შესვლა

7.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან.

8. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

8.1 ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ფასები და უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი

ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. ფორს – მაჟორი

9.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შესრულება გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალოდ ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 წამოჭრილი დავები ან აზრთასხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

10.2 თუ „მომწოდებელი" და „შემსყიდველი" მოლაპარაკების დაწყებიდან 10 დღის განმავლობაში ვერ შესძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11. სხვა პირობები

11.1 ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.

11.2 არცერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისიუფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის თანხმობის გარეშე.

11.3 ხელშეკრულება დგება ქართულ ენაზე. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1 ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2022 წლის 30 დეკემბრის ჩათვლით.

13. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი	მომწოდებელი
მცხეთის მუნიციპალიტეტის მერია	შპს „გორგია"
მის: ქ. მცხეთა, ანტიოქიის ქ.7	მის: ქ. თბილისი
სახელმწიფო ხაზინა	ს/კ 245621288
ხაზინის კოდი: TRESGE22	სს თიბისი ბანკი
ა/ნ GE24NB 0330 1002 0016 5022	ბანკის კოდი:TBCBGE22
ს/კ 236099789	ა/ა GE62TB1007536020100008
ტელ: 2512696	ტელ: 591911089
ელ. ფოსტა: mtenderi@yahoo.com	ელ ფოსტა: projects@gorgia.ge

მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებელი	ხელმძღვანელი ხ. პაპუნიძის მინდობილი პირი
გივი გიუტაშვილი	ქეთევან ლომაძე

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

ვადასტურებ, აღნიშნულ შესყიდვაში ჩემი მონაწილეობა არ ეწინააღმდეგება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის I თავის მე-8 მუხლით გათვალისწინებულ პირობებს.

მცხეთის მუნიციპალიტეტის
მერის მოვალეობის შემსრულებელი გივი გიუტაშვილი